საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №835
2022 წლის 2 ივნისი

ქ. თბილისი

„იმ დასახლებათა (მათ შორის, მაღალმთიან დასახლებათა) ნუსხის განსაზღვრის შესახებ, სადაც 2022 წელს სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2022 წლის 1 თებერვლის №805 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„იმ დასახლებათა (მათ შორის, მაღალმთიან დასახლებათა) ნუსხის განსაზღვრის შესახებ, სადაც 2022 წელს სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2022 წლის 1 თებერვლის №805 ბრძანებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 01/02/2022, სარეგისტრაციო კოდი: 170000000.22.027.017296) დამტკიცებული დანართი №1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №1

იმ დასახლებათა (მათ შორის, მაღალმთიან დასახლებათა) ნუსხა, სადაც 2022 წელს

სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის

№	დასახლება	2022 წელს დასანიშნ ნოტარიუსთა რაოდენობა	შენიშვნა
1	ლენტეხი	1	მაღალმთიანი დასახლება
2	წყალტუბო	1	
3	ახმეტა	1	
4	თიანეთი	1	მაღალმთიანი დასახლება
5	დედოფლისწყარო	1	
6	დუშეთი	1	
7	ონი	1	მაღალმთიანი დასახლება
8	სოფ. რუხი	1“.	

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.